რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 22 ივლისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 10 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გამომცემლობა.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ნაშუადღევ ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 103 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 103

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ხმა მიეცით რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის

№ 1 სიას № 1

მეორე სამილიციო უბნის სოც.-დემ. საარჩევნო კომიტეტი

შაბათს, 22 ივლისს საღამოს 8 საათზე

კომიტეტის ბინაზე (ჭავჭავაძის ქ. № 9) იწვევს მეორე უბნის პარტიის წევრთა

საერთო კრებას

ვინაიდან ძლიერ საყურადღებო კითხვებია გასარჩევი, ვთხოვთ ამხანაგებს უსათუოდ დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

საარჩევნო ბიურო მეორე სამილიციო უბნისა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

შაბათს, 22 ივლისს, ავლაბრის კლუბის საზაფხულო შენობაში

(მიხაილოვის ქუჩა № 65)

მესამე რაიონულ კოლექტივის სასარგებლოთ გაიმარ. ინტერნაციონალური

სალამო-მიტინგი

სიტყვას წარმოსთქვამენ:

დ. მ. პაპოვი რუსულ ენაზე, ა. აზატიანი სომხურ ენაზე, ა. ლომთათიძე ქართულ ენაზე

თემა: „**რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა**". მიტინგის შემდეგ:

ლიტერატურულ-მუსიკალური განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: აზიზბეგოვი, ძკპურ სქი ფულლა ზიდე, ბაბლუმიანი, ვიკუნიანი, ქუჩიშვილი, ძერონგური, პაპ ჩიჩინაძე, ტალიანი შ.—პეტროგრადიდ. კონსერვატ. მოწაფე, ტალიან ი., ტარხანოვი, შერვმოვი, ერთაწმინდელი, ელბაკიანი და სხვ.

სტრუნნი ორკესტრი ა. პატრიანის მეთაურობით.

ადგილების ფასები 3 მანეთ. ვიდრე 1 მანეთი **დასაწყისი 8 ნახ. საათ. საღამ.**

ბილეთის ამღები შესვლისათვის არაფერს არ იხდის.

ბილეთების ადრევე აღება შეიძლება მესამე რაიონ. კოლექტივის ბიუროში ავლაბ. კლუბში (კახეთ. ქუჩა № 1) დილის 9 ვიდრე საღამოს 9 საათამდე.

მარქსისტული საღამო სოფლად!

დღეს, **22** ივლისს **სოფელ ენერში** („საჯვარეს" ეკლესიასთან)

ტარას სოლომონის ძე კახიძის ეზოში, ნაცვლად დღესასწაულ ილიობისა გაიმართება

საქველმოქმედო მიზნით არა ჩვეულებრივი

დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო

ფართე პროგრამით

განყოფილება პირველი: **ლექცია:** ა) თანამედროვე მომენტი; ბ) მიწის საკითხი, წაიკითხავს ვექ. პ. კახიანი; გ) ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი.

განყოფილება მეორე **ლექსები:** ა) ახალგაზრდა პოეტები: გ. ქუჩიშვილი, დ. მეჩონგური, გ. სახიოკლი, ა. ურუშაძე, კუკური, ხუდაქველიძე და სხვ. წაიკითხავენ ლექსებს. **სცენები:** ბ) გურულ-იმერულ და სომხურ სცენებს წაიკითხავენ შემდეგი პირნი: მსახიობი ნ გოცირიძე, ძაძამია, და ჟორდანია.

განყოფილება მესამე: ა) მომღერალთა გუნდი შეასრულებს სხვა და სხვა რევოლიუციონურ და ადგილობრივ სიმღერებს. ბ) ნაჩვენები იქნება სხვა და სხვა ბუნდოვანი სურათები. დასასრულ გაიმართება ცეკვა-თამაში და სხვა გასართობები. ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.

წმინდა შემოსავალი გადაეცემა ადგილობრივ სკოლის და ბიბლიოთეკის ფონდს.

ბილეთების ფასი 3 მ.-დან 50 კ.-მდე, ბავშვებისთვის 40 კაპ.

დასაწყისი საღ. 8 ს. გამგენი საღამოსი ვექ. პ. კახიანი და ს. შილაკაძე.

ქართული კლუბი

ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს კლუბის წევრთ,

რომ კვირას, 23 ივლისს, დილის 12 საათზე, დანიშნულია კლუბის დარბაზში

საგანგებო კრების გაგრძელება

მამასახლისთა საბჭო სთხოვს კლუბის წევრთ უთუოდ დაესწრონ კრებას, რადგანაც კრების მიერ განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა.

სავალდებულო დადგენილება
ტფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა

დროებითი მთავრობის მიმდინარე წლის 30 მარტის მე 13 პარაგრაფის დადგენილების თანახმად თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად აიკრძალოს ასანთის (სპიჩკის) პროვინციაში გატანა როგორც ქ. თფილისიდან ისე მთელი თფილისის გუბერნიიდან.

ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავა, მდივანი ი. ა. გლატოვი.

16 ივლისი, 1917 წ.

კანტორა
„განათლება"

ამ დღეებში პეტროგრადიდან მიიღებს სხვა და სხვანაირ

დიდძალ რევოლიუციონურ შინაარსის ლიტერატურას.

ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 30 მან. წიგნებს, იმათ დაეთმობათ მანეთზე 15 კაპ.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები

მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტის სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9-დან საღ. 9 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (დიდის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12, ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

იყიდება

ჭილოფები

ხელსაყრელ ფასებში.

(დამზადებული მაქვს 2000 ცალამდე ზომით 2—3 არშინ).

დაკვეთა შეიძლება ასობით და ათასობითაც. ფასებზე მოლაპარაკება პირადათ და წერილობით შემდეგი ადრესით: Ст. Ланчхуты, сел. Чибати Маркозу Патараія.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ორთაჭალის ტროტუარის ხაზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვამიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, შალიკაშვილის ქ., გაჯრაძის სახლი.

ტფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

ხაშა ჩიგოგიძეს.

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულს და ბათშანგით (სიფილისი) (606 ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, №

კონტრ-რევოლიუციის ბუდე.

ივლისის ამბოხება პეტროგრადში კონტრ-რევოლიუციის დასაწყისი შეიქნა. მოხდა ის, რაც ჩვენ თავის დროზე უკვე აღვნიშნეთ. ძნელი იყო პირველი ნაბიჯი. რუსეთის რევოლიუცია თავიდანვე ღრმა და ფართო გამოდგა. და აი რეაქციონერებიც დაფრთხენ და ხელსაყრელ მომენტამდე ბნელ კუნჭულებში მიიმალენ.

სწორეთ ასეთ დროს იფეთქა ამბოხებამ პეტროგრადში, რომელსაც სათავეში ბოლშევიკები მოექცნენ. მათი მიზანია დროებითი მთავრობის დამხობა და სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება. რევოლიუციონური ჯგუფი რევოლიუციას ამარცხებს. ასეთი იყო ობიექტიური შედეგი ბოლშევიკთა ბუნტისა.

მართალაც როცა ბნელმა ძალებმა იგრძნეს, რომ მათ ფეხქვეშ ნიადაგი საკმაოდ მომაგრდა, ყველგან თავი აიშვეს და თავის რაზმთა აშკარა მობილიზაციას შეუდგნენ. მათი მეთაურობა სახელმწიფო დუმის კომიტეტმა იკისრა. 18 ივლისს თავრიდის სასახლეში როძიანკოს თავმჯდომარეობით შეიკრიბნენ 3 ივნისის სახელმწიფო დუმის წევრები. მემამულენი და მსხვილი ვაჭარ-მრეწველნი, როგორც მოსალოდნელი იყო, რევოლიუციის წინააღმდეგ გადაჭრით ამხედრდნენ. აი რას ამბობს დეპუტატი მაკლენიკოვი: „ქვეყნის არევ-დარევა იმ მეოცნებეთა და შეშლილთა საქმეა, რომელთაც თავი ისე მიაქვთ, თითქოს მსოფლიო პოლიტიკას მეთაურობენ. სახელმწიფო დუმას, რომელმაც რევოლიუცია გამოაცხადა, გვერდში ამოუდგნენ არამზადა და მოღალატენი, რომელთაც თავი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთ გამოაცხადეს". კონტრ-რევოლიუციონერებმა ნიღაბი აიხადეს და ყოველი ძალღონით ცდილობენ რევოლიუციონური ორგანოების სახელის გატეხას. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა დეპუტატ პურიშკევიჩის განცხადება, თითქოს საბჭოებში მოკალათებული არიან ისეთი პირები, რომელთაც მუშებთან, ჯარისკაცებთან და გლეხებთან საერთო არაფერი აქვთ. რეაქციონერებმა კარგათ იციან, რომ რევოლიუციის განვითარება სავსებით მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა საქმეა. ჩირქი მოსცხეთ მათ, მოაკლეთ ნდობა და ხალხიც ზურგს შეაქცევს, ხოლო ეს რევოლიუციის სრული დასამარება იქნება. აი სათავე იმ მსგავსი კამპანიისა, რომელსაც პურიშკევიჩები და როძიანკოები აწარმოებენ და რასაც ტაშს უკრავენ კადეტები და მათი ამყოლ დამყოლნი. პ. მილიუკოვი უფრო ლამაზი სიტყვებით და დარბაისლური კილოთი მაკლენიკოვებს ზურგს უმაგრებს და მათ ახალი გამოსვლებისათვის აქეზებს. აქ საინტერესოა არა ის, რომ კადეტები რევოლიუციის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ეს აუცილებელი იყო. რევოლიუციას თანდათან შორდებიან ზომიერი ელემენტები ვინაიდან ის ეხუჭრება მათ სასიცოცხლო ინტერესებს. აგრარული საკითხის ფართოთ დასმა და მუშათა გამოსვლა ვაჭარ-მრეწველთა წინააღმდეგ კადეტებს კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკში ერეკება. აქ საინტერესოა საქმის მეორე მხარე. მონარქისტები და ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები მომენტს თავისთვის ხელსაყრელათ თვლიან, რომ რევოლიუციის წინააღმდეგ აშკარათ დაირაზმონ და მის დასამარებას შეუდგნენ.

პეტროგრადის ამბოხებამ ყველა ბნელი ელემენტები აამოძრავა. რევოლიუციას საფრთხე მოელის. ამიტომაც საჭიროა ყველა რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანება და საერთო საქმის საერთო ძალ ღონით დაცვა. ახლავე საჭიროა კონტრ-რევოლიუციონერთა ასალაგმავათ შესაფერი ზომების გამომუშავება. ეს უპირველესათ 3 ივნისის სახელმწიფო დუმას და მის გარშემო თავმოყრილ ჯგუფების ეხება.

დამფუძნებელი კრების დაჩქარებით მოწვევა—აი ერთად ერთი გზა რევოლიუციის გასამტკიცებლათ და კონტრ-რევოლიუციონერთა დასალაგმავათ.

კონტრ-რევოლიუცია აშკარათ ამხედრდა. რევოლიუციონურმა ორგანოებმა გადმოსროლილი ხელთათმანი უნდა აიღონ და ეხლავე შეეცადონ კონტრ-რევოლიუციონერთა ბუდეების დაფშვნას.

საშიში მომენტი და სოციალ-დემოკრატია.

რუსეთის რევოლიუცია სერიოზულ კრიზისს განიცდის. კონტრ-რევოლიუციონერები თანდათან მაგრდებიან. დასავლეთ ფრონტზე მტრის მედგარმა გამარჯვებამ, შინაურმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა არევ-დარევამ ბურჟუაზია გაათამამა და რევოლიუციის წინააღმდეგ აშკარათ გამოდის. მილიუკოვ-პურიშკევიჩები გაზეთის ფურცლებზე, საჯარო კრებებზე და დუმის სხდომებზე თავიანთ სულისკვეთებას აღარ მალავენ და რევოლიუციონურ ორგანოების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების წინააღმდეგ აშკარათ ილაშქრებენ. ზოგიერთი ბნელი ძალები იქამდისაც კი გათამამდნენ, რომ ისინი საჯაროთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების წევრების დაპატიმრებას მოითხოვენ.

ეს კიდევ ცოტაა. კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია საიდუმლო კრებას ახდენს, ირაზმება და მონარქიული გამოსვლებისათვის ემზადება.

ბურჟუაზია ვერ ურიგდება რევოლიუციონურ კლასების პოლიტიკურსა და ეკონომიურ მოთხოვნებს და იგი მთელი თავისი სიძლიერით მის წინააღმდეგ ირაზმება.

გაჰქრა ის წუთები, როცა ბურჟუაზია რევოლიუციონურ კლასებს ასე თუ ისე გვერდში მისდევდა და მათ სამართლიან მოთხოვნილებას წინ არ ეღობებოდა. ახლა ის სრულიად გამოეყო რევოლიუციონურ ბანაკს. ეჭვს გარეშეა ბურჟუაზიის ასეთი საქმიანობა მოსალოდნელი არავისთვის იყო. მას თავისი ისტორიული მისია უნდა შეესრულებია. ბურჟუაზია შესაფერ მომენტს ეძებდა, დროს ურჩევდა, რომ თავისი ძალები აემოძრავებინა და რევოლიუციონერების წინააღმდეგ გამოეყვანა.

3—5 ივლისის პროლეტარიატის ერთი ნაწილის ქუჩაში იარაღით გამოსვლამ ბურჟუაზიას მორალური გამარჯვება მიანიჭა და მათ საშუალება მიეცათ ფართო დემოკრატიის ერთი ნაწილი რევოლიუციონურ კლასების წინააღმდეგ აემხედრებია.

სამი ივლისის გამოსვლამ და დასავლეთ ფრონტზე მტრის გამარჯვებამ ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციას ცხოველ-მყოფელი სული ჩაბერა და ისინიც საჯაროთ მოქმედებენ.

მეტად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა რუსეთის ნამდვილ რევოლიუციონურ კლასს, პროლეტარიატს და მის საუკეთესო სურვილების გამომხატველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

განსაკუთრებით ახლა, როცა მთელი პარტია ორ ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ფრაქციათ გაიყო და ერთი-მეორის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ. სწორეთ ეხლაა საჭირო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია მთლიანათ გამოდიოდეს და ორივე მიმართულება ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ ირაზმებოდეს.

რევოლიუციის ხანაში უნდა შეერთდეს არა მარტო ერთი და იგივე პარტიის სხვადასხვა მიმდინარეობა, არამედ ყველა რევოლიუციონური კლასები, ყველა რევოლიუციონური მიმდინარეობა უნდა შემოკრბეს რევოლიუციონურ ორგანოების გარშემო. ამათ წმინდა მოვალეობას შეადგენს საერთო მასა დასახელებულ ორგანოების გარშემო შეაკავშირონ, ფართო დემოკრატიაში რევოლიუციონური შეგნება გააღრმავონ და მით შექმნან ძლიერი არმია, რომლის წინააღმდეგ ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია ვერას გახდება.

სწორეთ ეხლა, როცა მთელი რუსეთის თავისუფლებას შიგნით და გარედან მტრები ესხმიან, მას საფრთხეს უმზადებენ, საჭიროა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციულათ გაერთიანება. ამ გზით რევოლიუცია გაიმარჯვებს, თან რეაქციონერები დამარცხდებიან.

მძიმე პოლიტიკური მომენტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებას მოითხოვს.

ეროვნული

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა. ცნობა არ მოსულა აგრეთვე რუმინია-კავკასიის ფრონტიდან.

მხოლოდ დაგვიანებული ცნობა მოვიდა, რომ გერმანელების აეროპლანები რიგის ყურის რაიონში მოქმედებენ და დაზვერვას აწარმოებენ. ეჭვს გარეშეა გერმანელები ჩრდილოეთ ფრონტზედაც შეტევისათვის ემზადებიან.

საფრანგეთის ფრონტზე საფრანგეთ-ინგლისის ჯარი იპრისა, იურტემიზასა და მდ. მაასის რაიონებში საერთო შემოტევას აწარმოებენ და ზოგიერთა ადგილებში წინ მიიწევენ.

ავსტრია იტალიის ფრონტზე ჩვეულებრივი ბრძოლაა.

საშიში მდგომარეობა.

მოხდა ის, რასაც ბევრი ჩვენგანი მოელოდა.

როცა საქმე გაქვს არა კულტურულ მასსასთან, როცა ის სათანადოთ არ არის გაწვრთნილი და შეგნებული, მასთან მუშაობა ფრთხილი და გათვალისწინებული უნდა იყოს.

ამიტომაც იყო, რომ ბოლშევიკებს ყოველთვის ვაფრთხილებდით და უმტკიცებდით, რომ მათ აგიტაციას, პროპაგანდას და ტაქტიკას შესაძლებელი იყო გამოეღო რუსეთის და მის რევოლიუციისათვის დამღუპველი შედეგები.

ბოლშევიკების ფრონტზე „დაძმობილების" ლოზუნგი თავიდანვე დაგმობილი იქმნა.

ცხადი იყო, რომ დღევანდელ პირობებში დაძმობილების ლოზუნგი მხოლოდ ჩვენ ფრონტზე განხორციელდებოდა და დასავლეთ ფრონტზე კი მას ადგილი არ ექნებოდა. ეს იქნებოდა ერთნაირი სეპარატიული ზავი რუსეთის მხრით გერმანიასთან, რასაც საერთაშორისო დემოკრატიისათვის სამწუხარო და საშიში შედეგი მოჰყვებოდა.

ბოლშევიკები თავის გაზეთებს, „სოლდატსკაია პრავდა"-ს და „ოკოპნაია პრავდა"-ს ლოზუნგით: „ფრონტზე დაძმობილება" ასი ათასობით ავრცელებდნენ ჯარში.

რუსის შეუგნებელი სალდათი, რომელიც გუშინ რიაზანის ან ორლოვის გუბერნიიდან მოვიდა პოლიტიკური ცხოვრების კი არაფერი გაეგებოდა, რასაკვირველია, ყველაფერს თავისებურათ გაიგებდა.

„დაძმობილების" ლოზუნგი მან ასე გაიგო: გერმანელები და რუსები ძმები ვართ, ჩვენ საომარი არაფერი გვაქვს, შეგვიძლია ომს თავი დავანებოთ და სახლში წავიდეთ.

ბოლშევიკების ლოზუნგების ასეთმა გაგებამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ რუსეთი შინ დაბრუნებული დეზერტირებით გაივსო.

და ეხლა ამ დიდი რევოლიუციის დროს, როცა წყდება ხალხის გამარჯვების თუ დამარცხების საკითხი და მაშასადამე მთელი საერთაშორისო დემოკრატიის მომავლის საკითხიც, როცა რუსეთის რევოლიუციას ემუქრება გერმანიის ჯარი, ამ სწორეთ ასეთ კრიტიკულ მომენტში რუსის სალდათი არ ივიწყებს დაძმობილების ლოზუნგს და წინააღმდეგობის გაუწევლათ უკუ მორბის.

ხდება სასირცხვო მოვლენა, მოვლენა უმაგალითო ისტორიაში.

გუშინ ჯარმა რევოლიუცია მოახდინა და ნიკოლოზ მეორე ჩამოაგდო, დღეს კი ამ რევოლიუციას ძირს უთხრის და უგნური ლოზუნგები უგუნურათ სისრულეში მოჰყავს.

საჭიროა, რომ დაუყონებლივ ფრონტზე გავრცელდეს მილიონობით მოწოდებები და ფურცლები თუ გაზეთები, სადაც რუსის სალდათი გაიგებს, თუ რა არის დღეს საჭირო რუსეთის რევოლიუციის ხსნისათვის და რა არის დღეს მისი პირდაპირი მოვალეობა.

ფრონტის გარღვევამ და 3—4 ივლისის ავანტიურამ ეხლა ბევრი დაარწმუნა ალბათ, თუ რა კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით და როგორ არ უნდა ვეთამაშოთ სხვადასხვა დემაგოგიურ ლოზუნგებს.

ბევრი გუშინდელი ბოლშევიკების მიმდევარი დღეს გაიძახის, რომ მოქმედების გეგმა უნდა შეიცვალოს და ყველა ერთ რევოლიუციონურ რაზმში უნდა ჩავდგეთ. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ დისციპლინის აუცილებლობის საჭიროება მათ უფრო ადრე შეეგნოთ. მაგრამ უკეთესია მოგვიანებით შეგნება, ვიდრე არასოდეს.

ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ რამეს.

დღეს დროებითი მთავრობას მინიჭებული აქვს განუსაზღვრელი ძალაუფლება რევოლიუციის განსაცდელისაგან ხსნისათვის.

დროებითი მთავრობა, რასაკვირველია, სასტიკათ და ულმობელათ დასჯის მას, ვინც რევოლიუციას უთხრის ძირს და აქტიურათ გამოდის მის დასამარებისათვის.

თუ ბოლშევიკებში არიან თითო ოროლა მოღალატენი, გამყიდველნი, დეე ისინი დაისაჯონ, აქ ორი აზრი შეუძლებელია.

მაგრამ შეუძლებელი უნდა იქნას ისიც, რომ რეპრესიები რამოდენიმე ბელადებიდგან გადმოიტანონ ამ ბელადების მიმდევარ მასსაზე და ორგანიზაციებზე: პიროვნებები შეიძლება იყვნენ გამყიდველნი და მოღალატენი, მთელი მასსა, ან ორგანიზაცია კი არასოდეს.

შეუგნებელ მასას შეუძლია მხოლოდ დროებით გახდეს იარაღათ ამა თუ იმ დემაგოგიისა.

რომ დროებითმა მთავრობამ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს დაუწყოს დევნა—ეს კიდევ უფრო დაქსაქსავდა დემოკრატიის ძალებს.

დღეს მობილიზაცია უნდა მოხდეს მთელი ცოცხალი ძალების, რომელიც რევოლიუციას მხარს დაუჭერენ და ამ მობილიზაციიდგან ვერ გამოირიცხება, რასაკვირველია, ის ბურჟუაზიული ძალები, რომლებსაც შეუძლია ზღარი დაუძროს მუშათა და სალდათების საბჭოს და ეხლანდელი დროებითი მთავრობის მიერ გამომუშავებულ სამოქმედო გეგმას.

მთელი შინაური ძალების მობილიზაციის გარდა რევოლიუციის სახსნელათ საჭიროა ეხლავე საჩქაროთ ყურადღება მიექცეს მოკავშირე სახელმწიფოთა იმ კონფერენციას, რომელმაც უნდა ითათბიროს ამ ომის მიზნებზე და ცხადჰყოს თვითოეული მოკავშირის ზრახვანი და მისწრაფებანი.

გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს სტოკგოლმის სოციალისტურ კონფერენციას, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს საერთო გეგმა საერთო მოქმედებისა.

ამ საერთო გეგმისაგან, ამ საერთო მოქმედებისაგან დამოკიდებულია საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის გამოღვიძება.

საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის გამოღვიძება და აღდგენა იხსნის რუსეთის რევოლიუციას დამარცხებისაგან და გაამაგრებს საერთაშორისო მდგომარეობის წონასწორობას.

ძ. გ—ძე.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 20—21 ივლისი).

სახელმწიფო დუმის დროებით კომიტეტის აზრი დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

პეტროგრადი. სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტის აზრით ფრონტის დღევანდელი მდგომარეობა მთელ რუსეთში მომხდარ ამბევის შედეგია. ამის მიზეზათ კომიტეტი სთვლის სახელმწიფო ძალაუფლების პარტიულ ორგანიზაციების მიერ ხელში ჩაგდებას. კომიტეტის აზრით საჭიროა შეიქმნეს ძლიერი მთავრობა, რომელიც პარტიულ და სხვა კლასების ბრძანების ქვეშ არ უნდა იყოს და მთელი ძალღონით დაიხსნას სამშობლო განსაცდელიდან. კომიტეტი შეუძლებლათ ცნობს დამფუძნებელ კრებამდე ყოველივე საკანონმდებლო აქტის გამოცემას.

გერმანელ ჯაშუშების დახვრეტა.

პეტროგრადი რუმინიიდან მოსულ ცნობით, რუმინიის ჯარში ძლიერ აგიტაციას ეწეოდენ დაძმობილების შესახებ. უკანასკნელ კვირაში რუსის ჯარის-კაცის ტანისამოსში გამოწყობილი 50 გერმანელი დახვრიტეს.

ბოლშევიკებზე თავდასხმა.

მოქმედი ჯარი. კამენეც-პოდოლსკში დაჭერილ ბოლშევიკების გაგზავნის დროს ბრბო მათ თავს დაესხა და უნდოდათ თვით გაესამართლებიათ. მხლებელ ჯარის კაცებმა ძლივს გადაარჩინეს ტუსაღები.

დატუსაღებული ოფიცრები.

მინსკი. პოზიციიდან ყაზახებმა მოიყვანეს დაჭერილი 29 ოფიცერი და ჯარის-კაცები, რომლებიც ომის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდენ.

სამხედრო მინისტრის ახალი ამხანაგი.

პეტროგრადი. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის დროებითი კომისარი სავინკოვი დაინიშნა სამხედრო მინისტრის ამხანაგათ. ამასთანავე მას ევალება კერენსკის პეტროგრადში არ ყოფნის დროს მისი მოვალეობა შეასრულოს, სამხედრო უწყების სამოქალაქო ნაწილი უნდა განაგოს და დროებით მთავრობის კრებებს დაესწროს.

ნებართვა უკრაინელთა ჯარების შედგენის შესახებ.

მოსკოვი. სამხედრო მინისტრმა ნება დართო მოსკოვის სამხედრო ოლქს შეადგინოს უკრაინის ჯარების ნაწილები. მოსკოვში შეადგინენ უკრაინის ზაპოროჟსკი პოლკს, რომლის უფროსათ დაინიშნა შტაბს-კაპიტანი ზახარჩაკი. უკანასკნელ—არტილერისტებისგან პირველი სათადარიგო საარტილერიო ბრიგადისაგან შეადგინენ უკრაინელთა დივიზიონი, რომლის უფროსათ დაინიშნება პოლკოვნიკი მიკლაშევსკი.

მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. მთავრობამ დაადგინა დაარსოს შრომის მინისტრის მესამე ამხანაგის თანამდებობა.

მთავრობის დადგენილებით სამი წლით გამასწორებელ რაზმში გაიგზავნება ის პირი, ვინც მოუწოდებს ომის დროს რკინის გზის მოსამსახურეებს არ შეასრულონ სამსახური ან კანონიერი განკარგულება. ეს დადგენილება ძალაში შედის სანამ მას სენატი გამოაქვეყნებდეს.

ფინლიანდიის სეიმის დათხოვნა.

ჰელსინგფორსი. დროებით მთავრობის მანიფესტით დაითხოვეს ფინლიანდიის სეიმი.

მანიფესტს ხელი მოაწერა დროებითმა მთავრობამ 18 ივლისს და ჰელსინგფორსში მიიტანეს 19 ივლისს. მიღებისთანავე მოხდა სენატის კრება გენერალ გუბერნატორის თავმჯდომარეობით. გენერალ-გუბერნატორმა განაცხადა, რომ მთავრობამ სცადა რა ყოველივე საშუალება შესათანხმებლათ, არ უნდა მატერიალური ძალა იხმაროს, გადასწყვიტა მიმართოს ფინლიანდიის ხალხს, მან გადასწყვიტოს ეს საკითხი, და დაითხოვა სეიმი 18 ივლისს. შემდეგ გენერალ-გუბერნატორმა ჩააბარა ვიცე თავმჯდომარეს მთავრობის მანიფესტი სეიმის დათხოვნის შესახებ გამოსაცხადებლათ და სთქვა: „დროებითმა მთავრობამ იცის რა მნიშვნელობას აძლევენ ფინლიანდიელები 8 საათის სამუშაო დღის და სათემო თვითმართველობის კანონს, ამიტომ მოანდო მე მოვახსენო სენატს, რომ უკეთუ ასეთ კანონებს წარუდგენენ, მაშინვე დაამტკიცებენ. უკეთუ მას ამ კანონებს არ წარუდგენენ დასამტკიცებლათ, მაშინ ის წარუდგენს სეიმის მომავალ სესიას იმ სახით, რა სახითაც ის სეიმმა მიიღო". ამის შემდეგ სეიმის კრება შესწყდა. კრებას განაახლებენ რამდენიმე საათის შემდეგ და მაშინ გადასწყვეტენ საკითხს სეიმის დათხოვნის მანიფესტის გამოქვეყნების შესახებ.

სენატის კრება შესწყდა იმ მოსაზრებით, რომ გადაეწყვიტა სენატორებს სეიმის დათხოვნის შესახებ მანიფესტის გამოქვეყნების საკითხი. კრება განახლდა, უკეთუ სენატი გადასწყვეტს მანიფესტის გამოქვეყნებას, ხვალ შეიძლება მოხდეს სეიმის კრება, სადაც წაიკითხავენ მანიფესტს.

სახელმწიფო დუმის წევრთა კერძო თათბირი.

პეტროგრადი 19 ივლისს მოხდა სახელმწიფო დუმის წევრთა კერძო თათბირი. ბუბლიკოვმა, რომელიც 18 ივლისის თათბირს ვერ დაესწრო განაცხადა, რომ ის გაზეთებიდან გაეცნო გუშინდელ კამათს, რომ დეპუტატთა საბჭოს ოფიციალურმა ორგანომ სახელმწიფო დუმის ზოგიერთი წევრის გუშინდელ გამოსვლას კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა უწოდა და მსხვილი ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციას შეუერთა. ბუბლიკოვმა განაცხადა, რომ ბურჟუაზია და მთელი ქვეყანა მოუთმენლათ ელის წესიერების დამყარებას. ის სრულიად არ ეთანხმება გუშინდელ დახასიათებას. სუხანოვმა, რომელიც გუშინ არ ყოფილა, მწუხარება გამოსთქვა, რომ კერძო თათბირი გადასცდა იმ უმაღლეს პატრიოტულ პოზიციას, რომელსაც ის ადგა 27 თებერვალს. მასლენნიკოვი აცხადებს, რომ ბუბლიკოვის და სუხანოვის ყვედრებები მას შეეხება და განაც., რომ ის მუდამ მხარს უჭერდა დეპუტატთა საბჭოებს და გუშინ პირველად გამოვიდა ის მათ წინააღმდეგ, რადგან მათ უნდოდათ დუმის დათხოვნა. ამ დროს ის იმით კი არ ხელმძღვანელობდა, რომ დაემხო რევოლიუცია, არამედ დიდი რუსეთის და მოპოებულ თავისუფლების დაცვის სურვილით. პურიშკევიჩმა განაცხადა: დუმის ყველა წევრები იღებდა მონაწილეობას მოძრაობაში ბიუროკრატიის დასამხობათ და ჭეშმარიტების, თავისუფლების და უფლების გასამტკიცებლათ. დუმაში კონტრ-რევოლიუციონერები არ ყოფილან, არ არიან და არც იქნებიან. ხოლო უკეთუ ყოველივე ჩვენ გამოსვლას კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა უწოდეს, ეს იქნება საზოგადოებრივ აზრის შებორკვა იმ დროს, როდესაც სიტყვის თავისუფლებაა. ლვოვი აცხადებს: დუმის წევრთა გუშინდელი გამოსვლა გამოიწვია რუსეთისადმი სიყვარულმა, რომელიც ჩვენ ყველაფერს ჩაგვიდენინებს. როძიანკო კამათის გათავების შემდეგ აცხადებს, რომ საჭირო არ არის დუმამ თავი იმართლოს, ცოდო იქნებოდა ვინმეს ეფიქრა თითქო დუმა ეხლა ანგრევს იმ საქმეს, რომელიც თვითონ შექმნა.

მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ ახალ წეს წყობილების დასაცავათ დაადგინა: აეკრძალოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, მოსამსახურე და კერძო პირთ წესს გარეშე დაატუსაღოს ვინმე, ან ხელი შეუშალოს სურვილისამებრ საცხოვრებელ ადგილის არჩევაში ან ისარგებლოს სიტყვის თავისუფლებით, გაუქმებულ იქნას პოლიციის ზედამხედველობა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის წესები. გაუქმდეს რკინის გზის განსაკუთრებულ დაცვის წესები რკინის გზებზე. სამხედრო წესები დარჩეს მხოლოდ ომის მოქმედების რაიონში. ის საქმეები, რომლებიც ამ განსაკუთრებულ წესების დროს სამხედრო სასამართლოებში სწარმოებდენ გარდაეცეს სამოქალაქო სასამართლოს. შემდეგ აღნიშნულია იმ პირთა საქმეების განხილვის წესრიგი, რომლებიც სასამართლოს გარეშე წესით დაატუსაღეს რევოლიუციონურ დღეებში, თებერვლიდან ამ დებულების გამოქვეყნებამდე. ამ საქმეების განსახილველათ დაარსდება საგუბერნიო კომისიები საოლქო სასამართლოს წევრის თავმჯდომარეობით, რომელსაც საზოგადო კრებაზე აირჩევენ: წევრებათ იქნებიან: ერთი საგუბერნიო საერობო გამგეობის არჩევით, ერთი ქალაქის გამგეობის. იმ ადგილებში სადაც საერობო გამგეობა არ არის, საერობო გამგეობის წარმომადგენლის ნაცვლათ კომისიის წევრათ ირჩევენ გუბერნიის კომისარს. კომისიას უფლება აქვს სამ თვეს გააჩეროს საპყრობილეში დაჭერილი პირი. დაჭერილთა გაჩხრეკის დროს ერთი კვირის განმავლობაში უნდა წარუდგინონ კომისიის თავმჯდომარეს დაჭერილის წინააღმდეგ საბუთები. თუ ამ ხნის განმავლობაში არაფერი წარუდგენს კომისია დაჭერილს ანთავისუფლებს.

ომის დეპეშები

პარიზი. 18 ივლისი. ლა-რუბლერასა და შევრენის რაიონებში 1500 მეტრის სიგანეზე იერიშები მივიტანეთ და წინ წავიწიეთ. იურტემიზას რაიონში საარტილერიო სროლა გაცხოველდა. ასეთივე სროლა სწარმოებს მდ. მაასის ნაპირებთან.

პარიზი. 19 ივლისი. იზერის არხი გადავლახეთ და ინგლისის ჯარს შეუერთდით. აქ ჩვენმა არტილერიამ მტრის სიმაგრეები მიწასთან გაასწორა. საარტილერიო სროლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სოფ. ვიკ' ხოოცე დაიკავა. მდ. ენზე გერმანელების საარტილერიო სროლა გაცხოველდა. შევრენის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სერნის ხაზიდან იურტემიზამდის გერმანელები მოვიგერიეთ და ისინი უკუ ვაქციეთ. მდ. მაასის ნაპირებთან შედარებით სიწყნარეა.

ლონდონი. 19 ივლისი. იპრ-კომინის არხთან ჩვენმა ჯარმა ახალი პოზიციები დაიკავა. იპრ-კომინის ჩრდილოეთით, ლაბასეელიასთან მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. იპრ-რუმლერასთან მტრის იერიშები შევაჩერეთ.

რომი. 19 ივლისი. კიეზას ველზე მტერმა სასტიკი იერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენ მათი იერიშები მოვიგერიეთ და მოწინააღმდეგეს დიდი ზიანი მივაყენეთ.

დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

ახალი ამბები

საარჩევნო ხრიკები. სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები დადიან და ჩვენი მომხრეების მოსატყუებლათ შემდეგ ოინებს ხმარობენ: ართმევენ დაბეჭდილ კონვერტებს, პირველ ნომერ ბიულეტენების ნაცვლად აწვდიან თავიანთ ბიულეტენებს. ჩვენს ბიულეტენებზე არის წარწერა რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე; ამით სარგებლობენ ნაციონალისტები და ამრჩევლებს ეუბნებიან: ეს სომხური პარტიის ბიულეტენია, შენ ხომ ქართველი ხარ და ქართველს უნდა მისცე ხმა. ხშირია ასეთი მაგალითებიც: მუშათა პარტიის მოწინააღმდეგენი შედიან ოჯახებში იმ დროს, როცა ოჯახის მოზრდილი წევრები სამუშაოთ არიან წასული. ბავშვებს მოტყუილებით ართმევენ კონვერტებს და უცვლიან ჩვენს ბიულეტენებს. არ შესცდეთ, ამხანაგებო და მოქალაქენო, კარგათ გახსოვდეთ, რომ ჩვენ სოციალ-დემოკრ. პარტ. ბიულეტენს აზის პირველი ნომერი—№ 1.

◆ **ელექტრონის ენერგიის შეწყვეტის გამო** გუშინ ჩვენი გაზეთი გვიან გამოვიდა, ამის მიზეზით პროვინციაში თავის დროზე ვერ გაიგზავნა.

◆ **საარჩევნო სამზადისი.** ტფილისის რ. ს.-დ. მ. პ. კომიტეტის ცენტრალური საარჩევნო ბიურო ხვალ, 23 ივლისს, ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში მოაწყობს მიტინგებს. მიტინგებზე ილაპარაკებენ საქალაქო არჩევნების შესახებ ცნობილი ორატორები: დ. პოპოვი, ალ. ლომთათიძე, რ. ჩიხლაძე, გ. მახარაძე, აფონსკი, ქ. გვარჯალაძე, ყარაჯიანი, სმირნოვი, მ. რუსია და სხ. საბურთალოზე, ხარფუხში, ვერაზე (ფიქრის გორა), ავლაბარში, ერთობის უბანში და დიდუბეში მიტინგი დაიწყება საღამოს 4 საათზე, ხოლო ნავთლუღში ნაშუადღევის 3 საათზე. განზრახულია ორშაბათსაც მოეწყოს ასეთი მიტინგები. დაწვრილებითი ცნობები მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში პირველ გვერდზე.

◆ **პროფესიონალურ კავშირში.** 20 ივლისს მოხდა ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება. კრებას დაესწრო 300 მდე კაცი. გამგეობაში აირჩიეს სამი ახალი წევრი: სვანიძე, ვლადიმიროვი და გიკი. ამხ. ავეტიკოვმა გააკეთა მოხსენება საქალაქო არჩევნების ტეხნიკურ მხარეზე და მოუწოდა დამსწრეთ მისცენ ხმა სოც.-დემოკრატების სიას № 1.

◆ **საქალაქო არჩევნები.** სახმოსნო კანდიდატთა სია (სულ 12) დაიბეჭდება გაზ. „კავკაზ"" ში ცალკე დამატების სახით.

◆ **მუშათა მოთხოვნილება.** აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების მუშა-მოსამსახურეებმა მოხსენება წარუდგინეს საზოგადოების სამმართველოს და მოითხოვენ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

◆ **მთავარ-სარდლის ბრძანება.** როგორც ვიცით, კერენსკის ბრძანებით დროებით გაანთავისუფლეს 40 წ. უფროსი ჯარისკაცები სოფელში სამუშაოთ. ახლა კავკასიის ჯარის მთავარ სარდალი იწვევს მათ ისევ თავის სამხედრო ნაწილებში. ვინც თავის დროზე არ გამოცხადდება, დეზერტირათ ჩაითვლება.

◆ **ახალი ლიტერატურა.** ამ დღეებში კანტორა „განათლება" პეტროგრადიდან მიიღებს რევოლიუციონურ შინაარსის წიგნაკებს.

◆ **აგრარული მოძრაობა.** საგუბერნიო კომისარიატს ახალ ქალაქის მაზრიდან ბეგები ფალავანდოვები ატყობინებენ, რომ კანდურინის საზოგადოებაში გლეხებმა ძალით ჩაიგდეს ხელში მემამულეთა სათიბი მინდვრები.

◆ **სასოფლო სამეურნეო იარაღები.** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას თანდათან მოსდის ამბარში შეკვეთილი სას.-სამ. იარაღები და თესლეულობა.

◆ **ნაძალადევის თეატრი.** ხვალ, ნაძალადევის თეატრში გაიმართება დიდი სახალხო კონცერტი.

◆ **პროფესიონალურ კავშირში.** სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი აცნობებს თავის წევრებს, რომ ექიმმა ი. ა. ლაზაროვმა განაცხადა სურვილი უფასოთ აღმოუჩინოს საექიმო დახმარება კავშირის წევრებსა და მათ ოჯახობას.

◆ **ახალი სკოლები.** ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებამ დაადგინა ენკენისთვეში გახსნას საინგილოში 2 სკოლა, აჭარაში—1 და ახალქალაქის მაზრაში—1.

◆ **შანტაჟისტის შეპყრობა.** 20 ივლისს ტფილისში შეიპყრეს გორის მაზრის მცხოვრები კველიევი. კველიევმა თურმე ხიდისთავის გლეხებს თებერვალში დასტყუა 50 ათასი მან. ვითომ და სურსათის შესაძენათ და უგზოუკვლოდ მიიმალა.

◆ **ახალი სამკითხველო.** ხვალ ტფილისის საოლქო არსენალთან გაიხსნება უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

◆ **კანტორა „განათლება" და გაზ. „ბორბა"-ს** საგამომცემლო კომისია აცხადებს, რომ ტრაპიზონის აღმასრულებელ კომიტეტზე ირიცხება 728 მ. გაზეთების ფული, ბაქოს ს. დ. ბიუროზე—484 მ., ბალაჯარის ს. დ. ორგანიზაციაზე—263 მ., ამათ უკვე შეუწყვიტეთ გაზეთის გზავნა. ვსთხოვთ ამხანაგებს გაასწორებინონ ანგარიში ზემოხსენებულ ორგანიზაციებს.

◆ **ახალი წიგნი.** ერთ კვირაში გამოვა კანტორა „განათლების" მიერ გამოცემული ნ. რამიშვილის ცნობილი წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი".

◆ **სამარცხვინო მოქმედება.** 19 ივლისს მორიგეობის დროს ვაგონების გადამბმელმა ილიკო ჩიჩიაშვილმა მე-13 საწყობთან ხელით დატვირთულ ვაგონის ჩაყენებისათვის ქრთამი აიღო გიორგი ბძგარაძე და სარქის ვართანაშვილისაგან. ასეთი მოქმედება ი. ჩიჩიაშვილის მხრით პირველი არ არის და იმედია უფროსები მიაქცევენ მას ყურადღებას.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** გული მოგვიკლა და უზომოთ დაგვაწუხრა ჩვენი საყვარელი ამხანაგის, ტკბილად მოუბარი გიორგი მარსაკოვის უდროოთ გარდაცვალებამ. გამოვსთქვამთ რა ჩვენს ღრმეს მწუხარებას, ვუცხადებთ გულწრფელ თანაგრძნობას მის ძმებს და ყველა მათ, ვინც კი დაჰკარგა გიორგაში შეგნებული და საყვარელი ადამიანი. შენი ხსოვნა მარადის დარჩება ჩვენს გულში ამხანაგო გიორგი! ი. გიორგობიანი, მ. გიორგობიანი.

◆ **ამხ. დ. მეჩონგური** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „ერთობის" 20 ივლისის მე-101 №-ში პირველ გვერდზე მოთავსებულია ორი განცხადება ერთი—შაბათს, 22 ივლისს, მესამე რაიონულ კოლექტივის სასარგებლოთ გაიმართება ინტერნაციონალური საღამო მიტინგი მეორე—შაბათს, 22 ივლისს ს. ეწერში (სამტრედიის რაიონი) გაიმართება დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. ამ ორთავე განცხადების ლიტერატურულ განყოფილებაში გამოცხადებულია მონაწილეთ დ. მეჩონგური. ერთ და იმავე საღამოს ტფილისში და ქუთაისის გუბერნიაში ყოფნა მგონი შეუძლებელია და ამ კურიოზის ასახსნელათ ნება მომეცით ამხანაგ მეგობრების და საზოგადოების საყურადღებოთ განვაცხადო შემდეგი: ერთი კვირის წინათ ჩემთან მოვიდა მესამე რაიონულ კოლექტივის სახელით ამხანაგი (ვინ არ ვიცი) და მთხოვა მონაწილეობა მიმეღო საღამოში, რომელიც უნდა გამართულიყო 20-ს და არა 22 ივლისს, მეც პირობა მივეცი 20-ის და არა 22 ივლისისთვის, ვინაიდან 22 ივლისისთვის უფრო ადრე შევპირდი სხვა ამხანაგს ს. ეწერში საღამოზე მონაწილეობის მიღება. პატივისცემით დ. მეჩონგური.

◆ **ბავშვის დაკარგვა.** 12 ივლისს, დღის ორ საათზე სადილის შემდეგ სადღაც გაიპარა 9 წლის ვაჟი, ბავშვი შავ-გრემანია, ფეხ შიშველა და თავ შიშველა; ტანზე ყვითელი ხალათი და შარვალი აცვია, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ავლაბარი, კამგეროვის ქუჩა № 5 სოფიო ძამაშვილს.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 8 ს. მე 2 სამილიციო უბნის ს.-დ. საარჩევნო კომიტეტი იწვევს ამ უბანში მცხოვრებ ს.-დ. პარტიის ყველა წევრთა საერთო კრებას კომიტეტის ბინაზე (ჭავჭავაძის ქ. № 9) ვინაიდან მეტად სერიოზული საკითხია გასარჩევი, ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დააკლდებიან კრებას.

— მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა 7 ივლისის შეერთებულ სხდომაზე არჩეული კამისია იწვევს ამხანაგებს ფრაქციის განურჩევლად კრებაზე, რომელიც შესდგება დღეს, საღამოს 7 საათზე მე 4 რაიონის ს.-დ. კლუბის შენობაში (ქალთა პირველი გიმნაზია). დღის წესრიგი: 1) კომისიის მოხსენება, 2) მიმდინარე საქმეები.

— ხვალ, დილის 10 ს. ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოების შენობაში (ბელგიის ქ. № 8) შესდგება ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის წევრთა კრება. ამხ. ტრეიმანი წაიკითხავს რეფერატს შემდეგ თემაზე: „პროფესიონალურ კავშირთა მუნიციპალური პოლიტიკა".

— ხვალ, საღამოს 8 ს. ქალთა პირველ გიმნაზიის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ.) მე-4 სამილიციო უბნის რ. ს.-დ. მ. პ. საარჩევნო კომიტეტი მართავს კონცერტ-მიტინგს გაზ. „ფაიქარი"-ს სასარგებლოთ. მიმდინარე მომენტზე ილაპარაკებენ კ. აზატიანი (სომხურათ), ალ. ლომთათიძე (ქართულათ) და დ. პოპოვი (რუსულათ). ბილეთები წინასწარ იყიდება ბიუროს ბინაზე (კათოლიკეს ქ. № 6) საღამოს 7—9 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხვალ, დილის 10 საათზე ხელოსნო კლუბში დანიშნულია თფილისის დურგალთა პირველ საწარმოო კოოპერატივის წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) კოოპერატივის წესდების განხილვა და დამტკიცება; 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა; 3) ახალ წევრების მიღება.

— ხვალ, დილის 9 ს., ხელოსანთა კლუბში (მიხეილის პრ.) მოხდება ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოში წარმომადგენლის არჩევა; 2) მიმდინარე საქმეები.

— ხვალ, ქალაქის ბაღში (ტრამვაის პარკის გვერდით) სოციალ-დემოკრატი ტიდიევი გამართავს საუბარს ოსურ ენაზე საქალაქო არჩევნების შესახებ. ვთხოვთ ოს ამხანაგებს ნუ დააკლდებიან კრებას.

✝ გიორგი მარსაგოვი.

გორის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შავი ძაძით შეიმოსა,—ერთი მთავარი ძარღვი ჩვენი პარტიული კოლექტივისა გაწყდა.

რევოლუციონურ ტალღაში ზრდილი გიორგი, ამავე დიადმა რევოლუციის აღტყინებულმა ზღვამ ჩაიყურყუმალავა.

19 ამ თვეს აბასთუმნიდან სამწუხარო ამბავი მოგვივიდა ამხანაგებისაგან: გიორგი მარსაგოვი გარდაიცვალა! სოციალ-დემოკ. პარტია იცნობს ამ მებრძოლ მთის არწივს, თფილისის დეპოს ამხანაგები მოითალხებიან გიორგის სიკვდილით, გიორგის ბრძოლის საბუდარს, ნაძალადევის პექა-ქუხილის ოხვრა-კვნესა მოეფინება ამ შემზარავ ამბის გაგებით!

გორის დემოკრატიას ცრემლის მორევი შემოსდგომია და ყველა უბანში ელვის სისწრაფით მოედო თავდადებული მებრძოლის დაკარგვა. შესწუხდა მის წინააღმდეგე მიმართულების პარტიებიც ამ გულკეთილ ადამიანის დაკარგვით, გიორგის გული ყველასათვის ღია იყო, თუ ალალათ და წმინდის გულით მიმართავდით მას, მიუხედავათ რწმენისა და სარწმუნოებისა, ყველას დაგკმაყოფილებდათ ეს წმინდათა-წმინდა კაცი, მაგრამ, თუ უსაბუთოთ და უდიერათ მიეპყრობოდი მის სათაყვანებელ საგანს მუშათა პარტიას, ამას ის ადვილათ არ დასთმობდა, ამ დროს საკმარისი იყო მისი მკაცრი კილო, რომლითაც ის გაფთრებულ ვეფხვივით იცავდა თავის წმინდათა წმინდას სოც.-დემოკრატიას. მთის არწივს ხუმრობა არ ეხერხებოდა! მრავალ წლობით ციხე ეტაპებით ნათრევ-ნაზეგვი, უკანასკნელ ხანებში გიორგი ადმინისტრატიულ ზედამხედველობის ქვეშ გადმოასახლეს ქალაქ გორში, სადაც დაჰყო რამოდენიმე თვე. მთელი ეს დრო გიორგიმ მიანდომა დემოკრატიის გათვითცნობიერებას· დაარსა წრეები: საოსტატო სემინარიაში, გორის ხელოსან-ნოქრებში, სადგურის მუშებში ლაზარეთების მოსამსახურეებში. ვის არ მოაგონდება თფილისის 1905—6 წლების რეაქციის ცეცხლი, როდესაც გიორგი ხელმძღვანელობდა პარტიულ მფრინავ წითელ რაზმს!

პირველმა რევოლუციის ტალღამ გიორგის ლოგინში მოუსწრო, თითქმის სულთმობრძავს, პირველათ, ამ რევოლუციის დროს გამართულ დიდებულ დემონსტრაციის წითელი დროშები ავადმყოფ გიორგის სარკმელთან შეჩერდნენ, საიდანაც უკურნავ სენისაგან შეპყრობილი ავადმყოფი უკანასკნელ ამხანაგურ სალამს და ძმურ კოცნას უგზავნიდა. უკანასკნელი კოცნა! კოცნა რევოლუციის დღეგრძელობას!

ამხანაგო გიორგი, შეგვინდე: შენი საყვარელი რევოლუციის ინტერესი მოითხოვს რევოლუციონურ ძალების დარაზმვას, შედგარ მუშაობას და თვით რევოლუციის ლოღიკურ დასკვნამდე მიყვანას.

შენი გმირული ბიოგრაფიის აღწერა მოითხოვს უფრო ხანგრძლივ მოფიქრებას! მანამდის კი დიადი რუსეთის რევოლუციის ტალღები ჩაითრევენ შენსავით კიდევ და კიდევ ბევრს მსხვერპლს.

ამხ. მონდობილობით შაქრო ჯავახიშვილი.

ომი და ზავი.

გერმანელების შემოტევის დაწვრილებითი ამბავი.

18 ივნისს დაწყებული შეტევა საზოგადო ხასიათს არ ღებულობდა, ამიტომ გამარჯვებაც იმდენათ თვალსაჩინო ვერ იყო. შეტაკებამ საზოგადო ხასიათი ვერ მიიღო იმიტომ, რომ ჯარის ზოგიერთი ნაწილები პროვოკატორების და დაქირავებულ აგიტატორების წყალობით აირივნენ. ყველაზე ცუდათ იქცეოდა გვარდია. ივლისის დამარცხება შემდეგნაირათ მოხდა: ტარნოპოლის ჩრდილოეთით 18 და 23 ივნისს გერმანელებმა მნიშვნელოვანი პოზიციები დაჰკარგეს და 6 ივლისს დაიწყეს სროლა, რომ ისევ უკან დაებრუნებიათ ეს ადგილები. ამ დროს პოზიციაზე მდგომი ორი პოლკი აიყარა და უკან წამოვიდა. გერმანელებმაც არ დააყოვნეს და ფრონტი გაარღვიეს. ჯარმა უკან დაიხია. რომ მეზობელი ჯარის ნაწილები შეეჩერებიათ კონტრ-შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ორივე მხრიდან ზარბაზნები განუწყვეტლივ ქუხდა. 7 ივლისს ჩვენი ჯარი ტარნოპოლისკენ წამოვიდა. გერმანელების პაეროპლანები ქალაქს თავს დაესხნენ და 30—40 ყუმბარა ჩამოყარეს. ბევრი ხალხი დაზარალდა. ყველა უზომო შიშმა შეიპყრო, უწესოება ჩქარა ჩააქრეს, არავინ არ დაუხვრეტიათ, დაჭერილი დეზერტირები პოზიციაზე გაგზავნეს. რაკი შეატყეს გერმანელებმა, რომ საქმე კარგათ მიდიოდა ტარნოპოლს სამხრეთით შემოუტიეს, ზარბაზნების ახმაურებისთანავე ზოგიერთმა პოლკებმა პოზიციას თავი მიანებეს და უკან წამოვიდნენ, ამ გარემოებამ გამოიწვია საერთოთ უკან დახევა და რაკი წინააღმდეგობა ვერ დაინახეს, გერმანელებიც წინ წამოვიდენ.

გერმანელ ჯაშუშების დატუსაღება.

ამ დღეებში საზღვარზე მოდარაჯე ჯარისკაცებმა დაიჭირეს გერმანელი უნტერ აფიცერი ადლერ ულკე. მას ფინჯაკის სარჩულში ჩაკერებული აღმოაჩნდა რუსეთის ბრძოლის ველის რუქა.

დაკითხვის დროს პირველათ თუმცა ულკემ განაცხადა, რომ რუქა ჩემთვის სახელმძღვანელოთ მქონდაო, მაგრამ შემდეგ გამოტყდა, რომ მას უნდოდა ის გერმანიის შტაბისთვის გადაეცა. ეს რუქა მას ეშოვნა მის ამხანაგ ტყვე განს შტრეიხერიდან. შტრეიხერმა უარჰყო ეს. საქმე სამხედრო ოლქის შტაბს გადაეცა. ორივე ჯაშუშს სიკვდილით დასჯა მოელით.

„ფორვერტსის" აზრი რუსეთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

გაზეთი „ფორვერტსი" კერენსკის პრემიერათ დანიშვნას გამო აღნიშნავს იმ მიზეზებს, რამაც პაციფისტი კერენსკი აძულა შეტევა დაეწყო. საჩქარო ზავისთვის საჭიროა, ფორვერტსის აზრით, ძლიერი რუსეთი, რომელიც მშვიდობიანობისკენ უნდა მიისწრაფოდეს. თუ კერენსკიმ თავისი გაიტანა არა თუ რუსეთი, მთელი ქვეყანა მადლიერი იქნება კერენსკის. თუმცა ძნელია კერენსკის მდგომარეობა, მაგრამ კერენსკის პრემიერათ დანიშვნა და გერმანიაში შინაურ პოლიტიკის შეცვლა ძლიერ ხელს შეუწყობს მას გავლენა იქონიოს მოკავშირეებზე ჩამოაგდონ ზავი იმ საფუძველზე, რომლის შესახებაც თითქმის ყველა მებრძოლი მხარეები თანახმანი არიან.

№ 1

Голосую за списокъ

Россійской Соціалъ-Демократической Рабочей Партіи.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ՌՈՒՍԱՍՏԱՆԻ ՍՈՑԻԱԼ-ԴԵՄՈԿՐԱՏԱԿԱՆ ԲԱՆՎՈՐԱԿԱՆ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹԻՒՆ.

روسيه اجتماعيون عاميون فعله فرقسى

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიამ გამოსცა ზემო მოყვანილი ბარათები. **ბარათები დაბეჭდილია წითელი ასოებით.** ყველა მუშამ, ყველა ჯარისკაცმა, ყველა მოქალაქემ ზემო აღნიშნული ბარათი უნდა ჩადოს იმ ბეჭედ-დაკრულ კონვერტში, რომელიც მას ფოსტალიონებმა მიუტანეს. ეს კონვერტი შეინახეთ საარჩევნო დღისათვის. 30 ივლისს ამ კონვერტს ჩააგდებთ საარჩევნო ყუთში იმ ადგილებში, რომელიც ნაჩვენებია საარჩევნო ბარათზე.

ფოსტალიონები კონვერტებთან ერთათ არიგებენ საარჩევნო ბარათებს (избирательная корточка). ეს ბარათებიც შეინახეთ არჩევნების დღისათვის და იქ წარადგინეთ შესვლისას. უამისოთ ხმის მიცემა არ შეიძლება.

არც ერთი ხმა სხვა პარტიების სიას. ხმა მიეცით რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიას № 1-ს.

რუსეთის ამბები.

ქალაქის არჩევნები. ქ. გომელში ქალაქის საბჭოს არჩევნებზე გაიმარჯვა სოციალისტურმა ბლოკმა 101 ხმოსნიდან: 48 სოციალისტური ბლოკის აირჩიეს, 5 ბოლშევიკი, 12 ებრაელთა სოციალისტური ბლოკის, 7 უპარტიო მემარცხენე, ბურჟუაზიულ პარტიის 29.

— ორენბურგში ს.-რევოლუციონერთა, პლეხანოველების და სახალხო სოციალისტების ბლოკმა მიიღეს 67 ადგილი, მუსულმანთა სამმა პარტიამ—17; ბოლშევიკებმა ბუნდელებთან ერთათ—7; კადეტებმა—5.

— ცარიცინში სოციალისტურმა ბლოკმა—ს.-დემოკრატ მენშევიკებმა, ს. რევოლუციონერებმა და ბუნდოველებმა 102 ადგილიდან მიიღეს 41, ბოლშევიკებმა—39, სახალხო სოციალისტებმა და კადეტებმა—1.

— კუნგურში აირჩიეს 13 ხმოსანი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სიიდან, 10 დემოკრატიულ ბლოკის, 7 სახლის პატრონების სიიდან და 4 სოციალისტების.

— ქ. იალტაში, მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივი კადეტები არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ საგიტაციოთ, მიუხედავათ იმისა, რომ აქ არც ერთი სოციალისტური გაზეთი არ გამოდის და ჯარისკაცები და მუშები ცოტანი არიან, სოციალისტურმა ბლოკმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ქალაქის არჩევნებში. სოციალისტურმა სიამ მიიღო 7792 ხმა, კადეტებმა—1998, რესპ. დემოკრატიულმა პარტიამ 224 ხმა, კიდევ უფრო ნაკლები სახლის პატრონებმა და ბერძნებმა.

— **პაგრომშჩიკის დაჭერა.** 11 ივლისს მოსკოვში დაატუსაღეს და შტაბში მიიყვანეს ვიღაც ბორნიკოვი, რომელიც ქუჩაში შავრაზმულ აგიტაციას ეწეოდა და მოუწოდებდა ხალხს ებრაელების დასარბევად. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებს „ძაღლების დეპუტატებს" უწოდებდა და აშკარათ მწუხარებას აცხადებდა, რომ საბრალო ნიკოლოზ მეორე ტახტიდან ჩამოაგდეს.

— **შავრაზმული მოწოდების ფურცლების დაჭერა.** პეტროგრადის ერთ ერთ სტამბაში აღმოაჩინეს შავრაზმული ფურცლები 500 ცალი. მისი ავტორი აღმოჩნდა პრეობრაჟენსკის პოლკის ვოლნიაპრედ. სლავიცკი, რომელიც დაატუსაღეს. ამ შავრაზმულ ფურცლებში მოუწოდებენ ებრძოლონ დროებით მთავრობას. მთავრობას უწოდებენ—კატორჟნიკების მთავრობას და მოუწოდებენ გამოუგზავნონ ჯარის ყოველ ნაწილიდან ექვს ექვსი კაცი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლათ.

რომ მომავალში ასეთი ფურცლები აღარ დაიბეჭდოს აღმასრულებელ ცენტრალურ კომიტეტის ბიურომ გადასწყვიტა ყველა სტამბებში საგანგებო კომისარები დანიშნონ თვალყურის სადევნელად.

— **ემიგრანტების ჩამოსვლა.** 12 ივლისს პეტროგრადში 790 რუსი ემიგრანტი მოვიდა შვეციიდან, 13 ს კიდევ მოელიდნენ 1000 კაცს.

— **ძველი რეჟიმის მოღვაწეობის ისტორიიდან** სტოლიპინის „დამშვიდების და რეფორმების" ხანაში ჯარის სარდლები, გენ. გუბერნატორები და ციხის უფროსები ძალიან ხშირათ ადმინისტრატიული წესით სიკვდილით სჯიდენ დამნაშავეებს.

ამგვარ უპრალო წესით მეფის მთავრობის სატრაპებმა ბევრს მოუსპეს სიცოცხლე.

ეხლა საგანგებო საგამომძიებლო კომისიამ მიმართა სამოსამართლო პალატის ბრალმდებელს კარინსკის, რაც შეიძლება დაჩქარებით შეჰკრიბოს ცნობები როდის და სად ჰქონდა ასეთ შემთხვევებს ადგილი.

— **უმუშევართა მანიფესტაცია ფინლიანდიაში.** 12 ივლისს ჰელსინგფორსში ექვსი ათასმა უმუშევარმა მანიფესტაცია მოახდინა. მანიფესტანტები კარგა ხანს გაჩერდენ სეიმის წინ. „პური და საზოგადო სამუშაო" გაისმოდა ქუჩებში. ამის გამო ფინლიანდიის სეიმი შეუდგა საშუალების გამოძებნას, რომ მომავალში უმუშევრობამ კიდევ უფრო ფართე ხასიათი არ მიიღოს. განზრახულია ჭაობების გაშრობა, მდინარეთა გაწმენდა და ახალი რკინის გზის გაყვანა.

საზღვარ გარეთ.

გერმანიის კონსტიტუციის რეფორმის საკითხი რეიხსტაგის საგანგებო კომისიაში. გერმანიის კონსტიტუციის რეფორმის საკითხის შემუშავება რეიხსტაგმა მიანდო საგანგებო კომისიას. საინტერესოა ის რეზოლიუციები, რომლებიც წარმოადგინეს სხვადასხვა პარტიებმა ამ საკითხის შესახებ.

დამოუკიდებელმა ს.-დემოკრატიულმა პარტიამ შემდეგი რეზოლიუცია წამოაყენა:

„თვითეულ მოკავშირე სახელმწიფოში უნდა იყოს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის-ყრით არჩეული ხალხის წარმომადგენლობა. აქტიურ და პასსიურ საარჩევნო უფლებით უნდა სარგებლობდეს ყველა, ვისაც 20 წელი შეუსრულდა, განურჩევლად სქესისა.

ამ წარმომადგენლობის დაუდასტურებლათ არავითარი კანონი არ გამოიცემა და არ განისაზღვრება ბიუჯეტი.

ყველა არსებული მეორე პალატები უქმდება". ამ რეზოლიუციას მხარი დაუჭირა დეპუტატმა შრადგაგენმა, რომელმაც განაცხადა, რომ მეორე პალატები ხალხის წარმომადგენლობის წინააღმდეგია. ამ რეზოლიუციის უარყოფა იქნებოდა მდიდარ კლასების პრივილეგიების მხარის დაჭერა იმ დროს, როდესაც რეფორმა ღარიბ ხალხს სჭირდება და რაც შეიძლება საჩქაროდაც.

ს.-დემოკრატიის (უმრავლესობის) პარტიის რეზოლიუციაც ასეთი იყო, მხოლოდ მეორე პალატების გაუქმებას არ მოითხოვდა.

თავიანთ სიტყვაში ს.-დემოკრატი მეუმრავლესენი აღნიშნავენ, რომ ოთხ ფორმულიან სისტემის საარჩევნო უფლების შემოღება ხალხისთვის ისე საჭიროა, როგორც პური და მისი შემოღების გადადება შეუძლებელიაო. ხალხი გასაჭირშია, შიმშილით სულს ღაფავს და დარწმუნებული მაინც უნდა იყოს, რომ პოლიტიკურ უუფლებობის დრო წავიდა.

პროგრესისტების რეზოლიუციაში ნათქვამია: „ვსთხოვოთ ბ. კანცლერს შემოიღონ გერმანიის ყველა სახელმწიფოებში კონსტიტუციონური წეს-წყობილება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით არჩეულ ხალხის წარმომადგენლებით.

თავისუფალ მოაზრე სახალხო პარტიას არ მოსწონს არც ერთი ეს რეზოლიუცია და თვისას აყენებს: წინადადება ეძლევა რეიხსტაგს წარუდგინოს იმპერიის კანცლერს შემდეგი რეზოლიუცია:

„რეიხსტაგი დარწმუნებულია, რომ ამ საშინელ ომის დროს ხალხის გიგანტურ მოქმედების შემდეგ კლასობრივ საარჩევნო უფლებას ამის შემდეგ ადგილი აღარ ექნება გერმანიის არც ერთ სახელმწიფოში.

ხალხის ყველა ელემენტები მთელის ძალღონით ცდილობენ ომის ბრწყინვალეთ დაგვირგვინებას. ომის შემდეგ დიდ შრომას მოითხოვს ეკონომიური და სოციალური საკითხების შემუშავება და მოწესრიგება. მაგრამ მანამდე დაუყონებლივ გერმანიის ყველა სახელმწიფოებში უნდა შემოიღონ სრული მოქალაქეობრივი უფლებრივი თანასწორობა".

კომისიამ უარჰყო ს.-დემოკრატების ორივე რეზოლიუცია, აგრეთვე პროგრესისტების.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიათა დებულება ამიერ კავკასიისათვის.

მუხ. 1) არჩევნების გამგებლობა დავალებული აქვთ: ამიერ კავკასიის კომიტეტთან არსებულ ცენტრალ საარჩევნო კომისიას, და საგუბერნიო (საოლქო) სამაზრო, საქალაქო და საუბნო კომისიებს.

მუხ. 2) დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიათა შემადგენლობა:

ა) ამიერ კავკასიის ცენტრალ კომისიაში შედიან: ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წარმომადგენელნი, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენლები, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, თფილისის საქალაქო საარჩევნო კომიტეტის და მაჰმადიანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელნი. პრეზიდიუმი შესდგება სამ სწორუფლებიან თავმჯდომარისაგან და აგრეთვე სამ სწორუფლებიან მდივნისაგან.

ამიერ კავკასიის კომისიის შემადგენლობაში შევლენ საკანდიდატო სიების პირველი ხელის მომწერნი, იმ შემთხვევაში, თუ სიების წარმდგენი პირები სხვებს არ აირჩევენ.

ბ) დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საგუბერნიო კომისიაში შედიან: ორი წარმომადგენელი საგუბერნიო ქალაქის სამმართველოსი, ორი წარმომადგენელი საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტისა, ორი წარმომადგენელი მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა, ორი გლეხთა დეპუტატების და პოლიტიკურ პარტიების ორ-ორი წარმომადგენელი. პრეზიდიუმში შევლენ ორი სწორუფლებიანი თავმჯდომარე და ორიც მდივანი.

საგუბერნიო კომისიის წევრებათ საკანდიდატო სიებზე პირველი ხელის მომწერნი, ჩაირიცხებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიების წარმომადგენლებმა კომისიის წევრებად სხვები აღარ აირჩიეს.

შენიშვნა: ამიერ კავკასიის იმ ადგილებში, სადაც საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები არ დაარსებულა, დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ საგუბერნიო კომისიის თავმჯდომარეთ ამიერ კავკასიის კომიტეტის საგანგებო რწმუნებული დაინიშნება. მასთან კომიტეტში შევლენ: საქალაქო სამმართველოს ოთხი წარმომადგენელი და პოლიტიკურ პარტიების თითო წარმომადგენელი.

ა) დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო კომისიას თავმჯდომარეობს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე. მასთან ერთად კომისიაში შედიან ქალაქის თვითმართველობისაგან არჩეული ორი წევრი და სამიც აღმასრულებელ კომიტეტისაგან.

შენიშვნა: სადაც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი არ არსებობს დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ კომისიის თავმჯდომარეთ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ დანიშნული სამაზრო რწმუნებული იქნება. მასთან კომისიაში შევლენ ქალაქის თვითმართველობის ოთხი წევრი პოლიტიკურ პარტიათა თითო წარმომადგენელი.

გ) ქალაქებში დამფუძნებელ კრების არჩევნებს იგივე დაწესებულებები უნდა განაგებდნენ, რომელნიც ქალაქის სათათბიროს არჩევნებს განაგებდნენ.

დ) საუბნო კომისიას თავმჯდომარეობს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე. მასთან კომისიაში შედიან სარაიონო კომიტეტის მიერ არჩეული სამი წევრი. მათ უფლება აქვთ კომისიაში შეგნებული პირები მიიწვიონ, თუ ამას საჭიროდ სცნობენ.

შენიშვნა: სადაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი არ არსებობს დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საუბნო კომისიაში ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის სამაზრო რწმუნებულისაგან დანიშნული სამი პირი შევა, მათ მცოდნე პირთა კომისიაში მიწვევის უფლება ექნებათ.

ე) სასოფლო კომისიის თავმჯდომარეს და მის 3 წევრს თვით სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს. კომისიას მცოდნე პირთა კომისიაში მიწვევის უფლება ექნება.

შენიშვნა: სადაც სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი არ არსებობს, დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ კომისიაში ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის სამაზრო რწმუნებულისაგან დანიშნული სამი პირი შევა. მათაც ექნებათ მცოდნე პირთა კომისიაში მიწვევის უფლება.

(დასასრული იქნება).

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენცია.

რეზოლიუციები.

წარმოებაზე კონტროლის დაწესება და წარმოების მოწყობის საქმე რუსეთში.

(ჩერევანინის მოხსენების დებულებანი).

1) რევოლუცია ქვეყნის ეკონომიური არევ-დარევის დროს დაიწყო. ეს არევ-დარევა ეხლაც გრძელდება. უკანასკნელ დრომდი არავითარი ღონისძიება არ იყო მიღებული ქვეყნის ეკონომიური კატასტროფისაგან დასახსნელათ.

2) ამ ხანათ ქვეყნის ეკონომიურათ დანგრევის პროცესი უკიდურესობამდეა მისული. ბუნებრივი ეკონომიური კავშირი, რომელიც სოფელსა და ქალაქს აერთებდა, უკვე გაწყდა. ასევე უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან ქვეყნის საწარმოო ძალები და ტრანსპორტის საქმე. მოსალოდნელია ახლო მომავალში მოხდეს ტრანსპორტისა და მრეწველობის სრულიად შეჩერება. ფულმა იმ ზომამდე დაჰკარგა ფასი, რომ თუ ასე გაგრძელდა საქმე, ახლო მომავალში აუცილებლად მოსალოდნელია ფინანსიური კატასტროფა.

3) მოსალოდნელი ეკონომიური კატასტროფისაგან ქვეყნის დასახსნელად საჭიროა მთელი რიგი გადამწყვეტი მნიშვნელობის ზომების მიღება. აუცილებლათ საჭიროა შეძლებულ კლასებზე მომატებული გადასახადების გაწერა. ამასთან საჭიროა არსებულ საშუალებათა მიზან-შეწონილათ და მიზნის შესაფერისად მოხმარა, მწარმოებელ ძალთა გაძლიერება, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ქვეყნის უსაჭიროესი მოთხოვნილებანი. უნდა გამომუშავებულ იქნას ყოველგვარ სურსათზე ნორმალური ფასები და მოწესრიგდეს მათი მიზანშეწონილად მოხმარება და განაწილება მცხოვრებთა შორის. უნდა მოეწყოს წარმოებათა უზრუნველყოფის საქმე როგორც ნედლი მასალით, აგრეთვე იარაღებით და მუშა ხელით და თვით წარმოებაზე უნდა დაწესდეს კონტროლი. უფრო საჭირო და დიადი სამრეწველო დარგების წარმოება თვით სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში. ყოველივე ნახმარ ღონის ძიების დროს სახეში უნდა ჰქონდეთ მომავალი ჯარის დაშლა (დემობილიზაცია) ომის

გათავების შემდეგ, უნდა გამომუშავებულ იქნას დემობილიზაციის (ომის გათავებისას ჯარის დაშლა) საერთო გეგმა.

4) წარმ. და ტრანსპ. მოწესრიგების აგრეთვე სურსათის განაწილების შესახებ კონკრეტული ღონისძიებათა გამომუშავების დროს უნდა შექმნილ იქნას სახელმწიფოებრივი ორგანოები როგორც ცენტრში, აგრეთვე ადგილობრივათ, რომლებშიაც რევოლუციონური დემოკრატიის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა (მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები), აგრეთვე კოოპერატივებისა და სავაჭრო-სამრეწველოების წარმომადგენლებმაც. ამ ორგანოებში რევოლუციონური დემოკრატიის წარმომადგენლები უმეტესობას უნდა შეადგენდენ.

5) წარმოების მოწესრიგების სფეროში სახელმწიფომ უნდა აუცილებლათ მიმართოს სინდიკატის საფუძველზე საქმის მოწყობას და სადაც ეს ეკონომიური თუ ტეხნიკური პირობების გამო შეუძლებელი იქნება ანდა სხვილი წარმოების დარგები, სადაც მასიური მოხმარების სურსათს ამზადებენ, უნდა მოეწყონ ტრესტების საფუძველზე. ამასთან, ცენტრალური ეკონომიური კომიტეტი განსაზღვრავს რაოდენობას და ხარისხს იმ სურსათებისა, რომლებიც უნდა დაამზადოს თითოეულმა სახელმწიფოებრივმა სინდიკატმა. კომიტეტი აწესებს ფასებს, საზღვრავს იმ საგნების რაოდენობას და სურსათის თვით-ღირებულობას, რაიც მუშებს მიეცემა სამუშაო ქირის ფასათ, სამუშაო ხელფასის განაწილება სხვადასხვა კატეგორიის მუშებს შორის უნდა ხდებოდეს თანახმად პროფესიონალური კავშირების მიერ შემუშავებული ტარიფისა. ეკონომიური კომიტეტის მიერ დაწესებული გეგმისა და ნორმების თანახმად წარმოების დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა ეკუთვნის სახელმწიფო სინდიკატის ან ტრესტის გამგეობას. გამგეობაში შედიან: მწარმოებელთა, ტეხნიკური პერსონალის, ამავე დროს მუშების და რევოლუციონური დემოკრატიის წარმომადგენელნი, აგრეთვე მთავრობის კომისარები. გამგეობის აბა თუ წარმოების კონტროლს ახორციელებს საგანგებო ორგანო, რომელშიაც შედიან ფაბრიკა-ქარხნების, მთავრობისა და რევოლუციონური დემოკრატიის წარმომადგენლები. მრეწველობის ისეთ დარგებში, რომლებიც იძულებით სინდიკატურათ მოწყობილნი არ არიან, წესდება საერთო ხასიათის კონტროლი ნედლი მასალისა და დამზადებული საქონლის გასაღების საქმეში. ასეთ კონტროლს ახორციელებენ ადგილობრივი ეკონომიური კომიტეტები მუშათა და მწარმოებელთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

6) ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებამდე მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ძველებური ეკონომიური პოლიტიკის წარმოებით მუშათა კლასის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. ყოველგვარი ცდა მუშების სამუშაო ხელფასის მომატებით მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მოჩვენებითი ხასიათისა იქნება იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ვხედავთ მანეთიანის ფასის დაცემით, პირველ საჭიროების საგანთა გაძვირებით და ნაკლებობით და აგრეთვე იმ უმუშევრობასთან შედარებით, რაიც მოყვანილობის დაცემით საოცრათ მატულობს. ამავე დროს სამუშაო ხელ-ფასის მომატებისთვის ბრძოლა, რის განხორციელებით ეკონომიური ცხოვრების თან-და-თანი ნგრევა ახალ საბუთს აძლევს მუშებს, კიდევ უფრო აჩქარებს და აძლიერებს ასეთ დანგრევას. ამით საშუალება ეძლევა ბურჟუაზიას ზედ-მეტი მოგებით გატენილი ჯიბეები კიდევ უფრო გაიტენოს, მუშებს კი, ისინი გამოიყვანებენ დამნაშავეებათ თითქოს ასეთი მოთხოვნებით მუშები ქვეყნის ეკონომიური კრახისაკენ მიაქანებდენ.

7) ქვეყნისა და რევოლუციის ინტერესების სახელით, თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების და მომავალში კლასობრივი წარმატების თვალსაზრისით, პროლეტარიატმა ყოველივე ზომები უნდა იხმაროს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მიზან-შეწონილათ მოსაწესრიგებლათ. მხოლოდ ასეთი მოწესრიგების მოვლენილობათა ფარგლებში შეუძლია პროლეტარიატს წინააღმდეგობა გაუწიოს საკუთარი ინტერესების გაუარესებას და რამდენიმეთ, თუ ცა ძალიან ვიწრო ფარგლებში, შესძლებს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

8) ამ საქმის მოწესრიგება ძლიერ ძნელი და რთულია. პროლეტარიატს არა თუ მარტო, არამედ—უპირატესობაც რომ მიეცეს მცხოვრებთა სხვა კლასებისაგან ამ საქმეში,—მაშინაც არ შეუძლია ამ მიზნების განხორციელება.

დასასრულს, ქვეყანა იმ საშიშრო მდგომარეობამდეა მისული, რომ სერიოზული ეკონომიური ნაბიჯების გადადგმა აუცილებელი იქნება რა გინდ ენერგიული და მიზან-შეწონილი ბრძოლა არ უნდა გასწიოს ეკონომიური არევ-დარევის წინააღმდეგ. ამიტომ პროლეტარიატი დიდათ დაინტერესებულია იმაში, რომ მან მარტოდ ერთმა არ აიღოს თავის-თავზე ეკონომიურათ დანგრეული ქვეყნის მოწესრიგების პასუხის მგებლობა. პროლეტარიატის ისე როგორც მცხოვრებთა მთელი მშრომელი ხალხის და აგრეთვე რევოლუციის ინტერესები მოითხოვენ, რაც შესაძლებელია გაკეთდეს ქვეყნის ეკონომიური საკითხების მოწესრიგების საქმეში, უნდა მოეწყოს მცხოვრებთა აწარმოებელი კლასების შეთანხმებული მუშაობით.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

აჯიკაბულის რაიონი.

გასულ ივნისში შესდგა აჯიკაბულის რაიონის ს.-დ. წევრთა კრება. კრებაზე არჩეულ იქნა ხელმძღვანელი კოლექტივი 9 კაცისაგან შემდგარი. დღეს პარტიაში ითვლება ას ოცი წევრი.

კოლექტივი დაიყო შემდეგ სექციებათ.

პრეზიდიუმი: მდივანი, მოლარე, საფინანსო, სალექციო და ლიტერატურული სექციები.

პირველ 23 ივნისის და 26 ივნისის კრებაზე კოლექტივმა გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: პირველ ყოვლისა დაარსონ ადგილობრივ ბიურო, სადაც უნდა ეწერებოდნენ პარტიის წევრები სამი ძველი პარტიის წევრის თავდებობით. გახსნას უფასო სამკითხველო, მოეწყოს პარტიული ჟურნალ-გაზეთები და ბროშურების გავრცელების საქმე და კვირაში ერთხელ იკითხებოდეს ლექციები, როგორც პარტიულ წრეებში, აგრეთვე დრო გამოშვებით იმართებოდეს საერთო მასიური მიტინგი.

ამ მიზნით კოლექტივმა დაიქირავა შენობა, სადაც ჯერ ჯერობით არსებობს ბიურო და აგრეთვე სამკითხველოც. ბიურო ღიაა დილის 10 საათ. შუადღის 12 მდე და საღამოს ხუთ საათიდან შვიდ საათამდე.

გამოწერილია ხალხში გასავრცელებლათ 50 ცალი რუსული „სოციალდემოკრატი“ ბაქოდან, თ—დან „ბრძოლა“ 20 ცალი, „ერთობა“ 15 ცალი, „პაქარი“ 5 ც., „ურმჯაკის მათრახი“ 20 ც. და აგრეთვე დაკვეთილი გვაქვს თათრული გაზეთები ადგილობრივ მუსულმანებში გასავრცელებლათ.

14 ივლისისთვის მოვიწვიეთ ბაქოდან ლექტორი. აქ ადგილობრივ ისეთი ძალები, რომელთაც შეეძლოთ ლექციების კითხვა ან მასაში პროპაგანდა აგიტაციის გაწევა არ არიან, მოთხოვნილება კი დიდია, მით უმეტეს, რომ აქაური რკინის გზის მოსამსახურები შეგნების მხრით ჩამორჩენილნი არიან და ნაცვლათ იმისა, რომ სხვა რამ კულტურულ განმანათლებელ საქმეებს დაუწყონ—მათ შორის ძრიელ გავრცელებულია ლოთობა, კარტის, ნარდის თამაში და სხვა.

როგორც გამოირკვა აქ მაგარ სასმელებს ავრცელებენ ზოგიერთი ადგილობრივი კონდუქტორები, რომელნიც ეზიდებიან განჯიდან და კიურდამირიდან ღვინოს.

გ. თ—ია.

ქალ. ერივანი.

9 ივლისს მოხდა ადგილობრივ ს.-დ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) ჰინჩაკისტების პარტიასთან დამოკიდებულობა, 2) ქალაქს ხმოსანთა კანდიდატები, 3) ერევნის გუბერნიის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციების ყრილობის მოწვევა და 4) პარტიული ორგანოს გამოცემა.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ უარყონ ჰნჩაკისტებთან ბლოკი იმ მოსაზრებით, რომ ისეთ პარტიასთან, რომელიც დგას ნაციონალური ნიადაგზე, ბლოკის შეკვრა სოციალ-დემოკრატიის მხრით პრინციპიალურათ შეუწყნარებელია.

შემდეგ მოხდა არჩევნები ხმოსანთა კანდიდატებისა საქალაქო არჩევნებში წამოსაყენებლათ. არჩეულ იქნა 12 კაცი, რომელთაც სია გადაეგზავნება ადგილობრივ ესერებს. სოც.-რევ. ჩვენ ბლოკი გვაქვს შეკრული.

პარტიული საგუბერნიო ყრილობის მოწვევის შესახებ ერევანში ამხ. გოგუაძემ მოახსენა კრებას, რომ ორგანიზაციის კომიტეტმა ყრილობის მოწვევა გადაწყვიტა 21 ივლისისათვის, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ 25 ივლისს ერევანში გაიმართება ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობა, სადაც ბევრი ჩვენი ამხანაგები მიიღებენ მონაწილეობასო; და ვინაიდან, ჩემის აზრით, პარტიული ყრილობა 25 ივლისამდე ვერ დაასრულებს მუშაობას, საჭიროა ის შემდეგისათვის გადავდოთო. კრებამ გადაწყვიტა, რომ ყრილობის მოწვევის დღეთ დარჩეს ისევ 21 ივლისი. ამის შემდეგ აირჩიეს კომისია, რომელიც იზრუნებს ყრილობის მოწვევის საქმეზე.

ბოლოს კრებამ დაადგინა—გამოსცეს ერევანში პარტიული ორგანო, რომელიც გამოვა კვირაში ორჯერ, ერთხელ რუსულ ენაზე, მეორეჯერ სომეხურზე, ჯერ-ჯერობით გაზეთი გამოვა მხოლოდ რუსულ ენაზე, რადგანაც სომხურათ ჯერ ტეხნიკურათ მოუხერხებელია. გაზეთის ხელმძღვანელათ არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია.

დიდი კამათი გამოიწვია იმან, თუ როგორ ტაქტიკურ შეხედულებას უნდა იცავდეს გაზეთი—მეუმცირესეებისას თუ მეუმრავლესეებისას, ხმის უმრავლესობით კრებამ დაადგინა, რომ გაზეთი მოწინავე წერილებში უნდა ატარებდეს იმ ფრაქციის შეხედულებას, რომელიც ორგანიზაციაში უმრავლესობითაა წარმოდგენილი (და უმრავლესობას „მენშევიკები“ წარმოადგენენ). უმცირესობის წარმომადგენლებს („ბოლშევიკებს“) მიეცემათ უფლება წერილები ბეჭდონ გაზეთში მხოლოდ ხელმოწერით.

ნ. ვაჩნაძე.

ს. თეკლათი. (სენაკის მაზრა).

13 ივლისს აქ შესდგა სოც. დემ. პარტიის წევრთა კრება. მომენტზე ილაპარაკა ა. ანჯაფარიძემ. კრებამ გულისწყრომა გამოსთქვა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის რევოლუციას. დაადგინეს: წინადადება მისცენ დეზერტირებს დაბრუნდნენ ჯარში. კრებამ სურვილი გამოსთქვა იმს რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო და ჩამოვარდეს ზავი ერთა გამორკვევის საფუძველზე. კრებამ ნდობა გამოუცხადა დრ. მთავრობას. შემდეგ ილაპარაკეს პარტიული მუშაობის შესახებ. ყველა იმ აზრისაა, რომ დღეს პასუხისმგებელნი ჩვენა ვართ და ამიტომ, რაც შეიძლება მეტი მუშაობაა საჭირო და მტკიცე ორგანიზაციების შექმნა.

ბ. ხაჯაია.

მუშათა ცხოვრება

მეთონეთა ცხოვრებიდან. თფილისის სასურსათო კომიტეტმა დააწესა საუბნო სასურსათო კომიტეტები. ყველა მეფურნე და მეთონე შედიან თავიანთ საუბნო კომიტეტებში. თითო უბნის მეფურნე-მეთონეებს ყავთ არჩეული თითო კაცი უბანზე, რომელთაც გამოაქვთ ფქვილი და აბარებენ ფულს საქალაქო სასურსათო კომიტეტს. მიღებულ ფქვილს ესენი ურიგებენ თავიანთ უბნის მეფურნე მეთონეებს. გასამრჯელოთ იღებენ ტომარაზე ცხადათ ერთ აბაზს, ხოლო ფარულათ ალაჰმა უწყის. მათი საქციელი მტკიცდება შემდეგი გამოძიებით. მაისის ბოლო რიცხვებში სასურსათო კომიტეტებს გადმოეცა დასარიგებლათ ფქვილი ჩვეულებრივ იმ დროინდელ ფასებში ტომარა 21 მანეთათ. ეს ფქვილი [illegible] საუბნო კომიტეტის წევრთა ამორჩეულ პირს ბ. მელიქია არჩვაძეს გაუყიდია [illegible] იმავე დღეს 26 მანეთათ და 20 კ. ერთი თვის გასვლის მერე სასურსათო საქალაქო კომიტეტმა იმ დროინდელი ფქვილები უნაგარიშოთ [illegible] ფასებში და ყოველ უბანს ამორჩეულთ დაამატებინა იმის მიხედვით თუ ვის რამდენი ტომარა ქონდათ წაღებული. ბ. მელიქია არჩვაძესაც გადაახდა თავისი წილი. ვიუზედავთ იმასა, რომ მას ადრევე ქონდა აღებული ეს ფული მეთონეებთაგან მან ხელშეკრულ მიყოხელი მეფურნეებს. ივლისის 18-ში მეთონეებმა მოსთხოვეს მას ანგარიშები და ყოველი მისი საქმენი საგმირონი გამოამჟღავნეს. სასურსათო საქალაქო კომიტეტისაგან მას აღმოაჩნდა უკან მიღებული 139 მანეთი, რომელიც მეთონეებს ეკუთნის დასარიგებლათ და აქნობამდის არ გაუნაწილებია. ამის გარეშე იხმოვდა დამატებით 495 მანეთს, რომელიც უკვე გადახდილი იყო მეთონეთაგან და ის თვითონ კი საქალაქო კომიტეტს არ აძლევდა, რასაც საქალაქო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი რუსია დაამტკიცებს. ასეთი ვაჭრებული მოველინენ თავისუფლების ხანაში ისედაც დაჩაგრულ საწყალ მეთონეებს. სამართლიანობა მოითხოვს სასურსათო საქალაქო კომიტეტმა ამ გარემოებას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და სათანადო პასუხი მოსთხოვოს, მიუთითებთ აღნიშნულ ფაქტისა. კარგი იქნებოდა საუბნო კომიტეტები ყურადღებას აქცევდნენ ფქვილის დარიგებულთ და ანგარიშს სთხოვდნენ რა ფასში მიიღო და რა ფასში დაარიგა, საკომისიოთ რამდენი აიღო; მაგრამ საუბნო კომიტეტები აუარებელი საქმეების გამო, ამისთვის ვერ იცლიან და ახალი ჯურის ექსპლოატატორები ამით სარგებლობენ.

გამომძიებელი—იდარ. თომას ძე მაჩაიძე.

რევოლუცია პროვინციაში

თელავი. აქაური ვაჭრების საქციელმა იქამდე მიიყვანა გაჭირვებული ხალხი, რომ უკიდურეს ღონეს მიმართეს. ეს ორი დღეა, რაც მახლობელ სოფლებიდან დედაკაცებს არ შემოაქვთ სანოვაგე. გასაყიდათ ქალაქში გარდა ხორცისა არაფერი მოიპოვება, არც ხილი, არც კვერცხი, არც რძე, არც წვანილი. მახლობელ სოფლების დედაკაცებმა გადასწყვიტეს გაიფიცონ, არ შემოიტანონ ბაზარში არაფერი; სანამ აქაური ვაჭრები არ დაუკლებენ ფასებს ყველაფერზე. ამ საკითხის გამოსარკვევათ თუ როგორი გავყვანით ეს თავიანთი გადაწყვეტილება გაფიცულებს ცხოვრებაში, მოიწვიეს, თელავის ახლო სოფელ კურდღელაურში მთელი სოფლის ყრილობა და შეატყობინეს მუშათა საბჭოს, რომ ვინმე მისულიყო მათთან სალაპარაკოთ. კრებას ორი ათასი ქალი და კაცი დაესწრო. როგორც მუშათა საბჭოს წევრებმა ისე სხვებმაც ილაპარაკეს. განმარტეს დღევანდელი მომენტი, სიძვირის მიზეზები და სხვა და მოუწოდეს ხალხს, რომ [illegible], ხელოვნურ უწესოებას ნუ მიმართავენ. დაბოლოს მოუწოდეს ხალხს აირჩიონ თავიანთი წარმომადგენელი, რომლებიც აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად შეიმუშავებენ ყოველგვარ წესებს სიძვირის მოსასპობათ. მიტინგი 9 საათამდე გაგრძელდა. ღამის ათ საათიდან 2 ამდის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოების, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებული სხდომა იყო. საბჭოებმა გამოყვეს კომისია, რომელსაც მიენდო ფასების შემუშავება, როგორც მანუფაკტურის ისე ტყავეულობის და ბაკალეინის საქონელზე. საბჭოების განკარგულებით მაღაზიები დილიდან დაკეტილია, სანამ არ გამოიმუშავებენ ნიხრს. ამ დილით უნდა დაეწყო მუშაობა კომისიას, მაგრამ დილიდანვე იწყო დენა ხალხმა ქალაქში. გავრცელდა ხმა, აპირებენ დუქნების დარბევასო. მთელი ქალაქი შეიძრა. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ქალაქის ბაღში. წინა ღამ არჩეული კომისია, რომელიც ბჭობდა ნიხრის დაწესების შესახებ, იძულებული გახდა დაეტოვებინა დარბაზი და მიტინგი გაეხსნათ. მიტინგი გახსნა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ქადაგიძემ. თავმჯდომარემ აუხსნა შეკრებულთ მათი გადაწყვეტილება, მან სთქვა, რომ ჩვენ უკვე შევუდექით მუშაობასო და დაგვაცადეთ დღეგამოთო. ილაპარაკეს თვით დუქნებლებმა, სოფლელებმა, პარტიის წარმომადგენლები ურჩევდნენ ხალხს დაშლილიყვნენ, რომ საშვალება ქონოდა ხალხის არჩეულებს ემუშავნათ, მიტინგი დაიშალა, მაგრამ ჯგუფ-ჯგუფათ მაინც თავს იყრიდა ხალხი, მთელი ბაღი ნი სავსე იყო ხალხით, ყველა თავის გაჭირვებას გამოსთქვამს, ყველას სურს ილაპარაკოს. ძალდატანება არაფერი მომხდარა. ქალაქს ჯარის-კაცები იცავდენ. იმედია, რომ არჩეული კომისია გამონახავს ნიხრს და მოაწესრიგებს ამ მწვავე საკითხს.

თ. ნ.

რედაქციამ თელავიდან მიიღო ცნობა, რომ იქ უკვე მოწყვარებიათ საქმე და ქალაქში სიწყნარეა.

ჭიათურა. კვირას, 16 ივლისს ჭიათურაში მუშათა საბჭოს ხელმძღვანელობით და ყველა პარტიების მონაწილეობით გამართულ იქნა სარაიონო დიდი მიტინგი. ხალხი ბლომათ დაესწრო. მიტინგი გამართულ იქნა პეტროგრადში მომხდარ ამბების და ფრონტის მდგომარეობის შესახებ. პირველათ არჩეულ იქნა თავმჯდომარე ამხ. ანთელიძე, რომელმაც პირველათ ილაპარაკა. მიტინგს მიესალმა მუშათა საბჭოს სახელით ამხ. ზ. გურული. ის ვრცლათ შეეხო პეტროგრადის ამბებს. ბოლოს მოუწოდა ხალხს, რომ მხარი დაეჭირათ დროებით მთავრობისთვის. სალამი უძღვნა მიტინგს ჭიათურის რაიონის ესერების სახელით გოგრინდაშვილმა. ილაპარაკა შ. ვაშაძემ, მან სალამი უძღვნა მიტინგს ს.-ფედერალისტების სახელით. ბოლოს ილაპარაკა კ. მოდებაძემ. ყველა ორატორები ურჩევდენ ხალხს მხარი დაეჭირათ დრ. მთავრობისათვის და კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ ებრძოლათ. მიტინგის შემდეგ გაიმართა მანიფესტაცია.

შალიკო რ. გაჩეჩილაძე.

დიდი ჯიხაიში. 9 ივლისს მოხდა საზოგადო კრება. მოხსენება წაიკითხა კავკასიის გლეხთა ყრილობის დელეგატმა ამხ. ით. შუბლაძემ. ყრილობის შემადგენლობის და ჩვენი გამარჯვების ამბავმა გლეხები გაახარა. ყრილობაზე მიღებული რეზოლუციები კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა. ამხ. ილ. ქუთათელაძე ლაპარაკობს დღევანდელ მომენტზე და პეტროგრადში მომხდარ ამბებზე. წინადადებას აძლევს კრებას მხარი დაუჭიროს დრ. მთავრობას. კრება ერთხმათ ღებულობს წინადადებას.

დ. ზემოხეთელი.

წერილები რედაქციის მიმართ.

სალამი რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტს.

სულით და გულით აღფრთოვანებული ვეგებები იმ მოწოდებას, რომლითაც მიმართავს რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი, რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებთ, თანამოაზრე მშრომელ ხალხის ინტერესებისა, ვიღებ ჩემს წვლილს ათ მანეთს, რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლათ. რაჭა-ლეჩხუმს როგორც მივარდნილ კუთხეს ესაჭიროება ლიტერატურის გავრცელება და სხ. და ვისაც კი, ოდნავ მაინც აინტერესებს დემოკრატიის მომავალი უსათუოთ დახმარებას გაუწევს რაჭა ლეჩხუმის კომიტეტს.

ციხელამა ბიბრეველი.

გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი: საქმე ეხება ბაქოს შეერთ წარმომდგ. არტელის ყოფილ რწმუნებულ იაგორ მინდაძის და ჩემს შორის არტელის საქმეების გამო ატეხილ დავას.

რედაქცია მინდაძეს გულწრფელათ უჯერის და წერილის ქვეშ თავის მხრით აღნიშნავს: ადვოკატმა წარმოადგინა ნოტარიუსის მოწმობა, რომ მას მართლაც მიუტანია 100 მ. ფული მასთან, რადგან „ძველ-ტყავი“ არ გამოცხადებულა და უკან წაუღიათ“ ამ საკითხის შესახებ რედაქციამ მინდაძის უკანასკნელ წერილს შენიშვნა გაუკეთა—„არაფერს არ დავბეჭდავ ამის შესახებ გარდა სამედიატორო სასამართლოს დადგენილებისაო“. თუ სურს ბ. მინდაძეს სამედიატორო სასამართლოში გამოცხადება—მან უნდა მიიღოს შემდეგი პირობები: 1) მედიატორული „ზაპისი“ უნდა დამტკიცებული იქნას ნოტარიუსის წესით და ყველა ჩამოთვლილი პირობები შიგ შეტანილი; 2) სამედიატორო სასამართლო შესდგება ბაქოში ხუთი კაცისაგან, ორ ორს ჩვენ ვირჩევთ და მეხუთეს თვით მედიატორნი; 3) მედიატორებს მიეცეს ვადა საქმის გარჩევის თვის ორი თვე; 4) თუ რაიმე მიზეზის გამო დანიშნული მედიატორთაგანი ვერ მოვა, მომხრეების ნება გვექნება შევცვალოთ მეორე პირით; 5) თანახმა ვერ მინდაძის [illegible] ყენებულ პირობის 10 და 11 [illegible] მოწმეების შეკითხვა უნდა მოხდეს დახურულ კარებში და მათი ჩვენება განაჩენის აქტში შეტანილი ხელის მოწერით მოწმეების მიერ; 7) ყველა არტელის საანგარიშო წიგნაკები წარმოდგენილი უნდა იქნას მინდაძის მიერ. ჩემის მხრით ვნიშნავ რწმუნებულს ამხ. გალაქტიონ ჭელიძეს. მედიატორებათ ვასახელებ ამხ. პრაპორჩიკ (ვექილის თანაშემწე) ალფესი ცისკარიძეს და სამსონ ქოსაშვილს.

დღიდგან ამ წერილის გამოცხადებისა მეოცე დღეზე უნდა გამოცხადდეთ ნოტარიუს ციმერმანთან, სადაც მოვა ჩემი რწმუნებული.

ძველ-ტყავი.

მადლობას უცხადებთ ნინო ასათიანისას, რომელმაც ასკანა-მთის პირის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს შემოსწირა 16 მ. გაზეთ „ერთობის“ გამოსაწერათ თავისი შვილის სტ. აკაკი ასათიანის ხსოვნის აღსანიშნავათ. აგრეთვე მადლობა ივანე ელიზბარის ძე ჯაველიძეს, რომელმაც გამოუწერა ამავე სამკითხველოს გაზეთი „ვოზროჟდენიე“.

ასკანა-მთის პირის სამკითხველოს გამგეობის წევრი: პატრიკი თალაკვაძე.

მადლობას უცხადებთ ქუთაისის სახალხო მილიციის უფროს ვანო ჟღენტს, რომ დ. ჩოხატაურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას შემოსწირა დროშა.

აგრეთვე მადლობას უცხადებთ გოგოლა კალანდაძეს, რომელმაც ჩვენი ორგანიზაციის გასაძლიერებლათ შემოსწირა 5 მან.

პეტრე დოლიძე.

ს. ზემოხეთში მცხოვრებლებმა მელქო და ივლიტა ყენიებმა მათი გარდაცვალებულ შვილების სერგოს და ანასტასიას გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავათ შემოსწირეს ადგილობრივ ორკლასიან სკოლას 20 მან. სამკითხველოს 10 მან. საჭომისერის 4 კლას. სკოლას 10 მან. გაზეთ „ერთობას“ 5 მან. და გაზ. ,,სოციალდემოკრატს'' 5 მან. ყველა ფულები დანიშნულებისამებრ გადავეცით.

პატ. ადგ. სკოლის მასწავლებელი ტიტე თევზაძე.

მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს და შემწეობა აღმოუჩინეს ,,ლეხაინდრავოის'' უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

სამკითხველოს ხაზინ. ნ. ბართაია.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი ერმილე სტეფანეს ძე შველაძე მსახურებდა ქ. ოდესაში ორთქმავალ მკეთებელ ქარხანაში. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ მაცნობეთ შემდეგი მისამართით. г. Эрзерумъ 100 Кавказскій военный четверочный транспортъ 44 Кавк. об. баталіонъ. Писору Виссаріону Степановичу Челидзе.

— ჯარის კაცი ელისო მიხეილის ძე გოგიჩაიშვილი მსახურებდა ქ. კრემენცში (ვოლინის გუბ.) მე-42 ქვეითი „იაკუტსკი“ პოლკის მე-7 როტაში, გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: м. Ланчхуты (Кут. губ.) Владимиру Датунайшвили.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საოლქო კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურათ	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულათ	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრალდებას რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20 „
9. [illegible] წიგნაკი ქართულათ	20 „
10. ოთხი ძმა ქართულათ	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულათ.
2. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.
3. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუსულათ.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალს ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბანდეროლით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организаціи Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12.

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.